# დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია 1111

## ფაქტობრივი გარემოებები

საწარმოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის თანხით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ გადააჭარბა 100 000 ლარს.

საწარმო არ დადგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე სავალდებულო წესით.

## შეფასება

სსკ-ის 286-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადამხდელთან ამ კოდექსით გათვალისწინებული დანაკლისის გამოვლენა ითვლება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასით განხორციელებულ მიწოდებად.

ამავე კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, ვალდებულია მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის. ამავე მუხლის პირველი ნაწილის "ა" პუნქტის თანახმად, პირი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

ამასთან, სსკ-ის 157-ე მუხლის მე-7 ნაწილის გათვალისწინებით, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

ხოლო ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ პირი არ წარადგენს საგადასახადო დეკლარაციას, ითვლება, რომ მან წარადგინა დეკლარაცია, რომლის საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხა ნულის ტოლია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაკლისის გამოვლენის მომენტიდან 2 დღის ვადაში პირი ვალდებული იყო დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად.

ამასთან, პირი ვალდებული იყო, რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან განხოციელებულ ოპერაციებზე წარედგინა დღგ-ის დეკლარაციები (დანაკლისად მიჩნეული თანხის ჩათვლით) და გადაეხადა კუთვნილი დღგ-ის თანხა.

## ღონისძიებები

საწარმოს დაერიცხება დღგ-ის თანხები რეგისტრაციის ვალდებულების მომენტიდან განხორციელებულ ოპერაციებზე (დანაკლისად მიჩნეული თანხების ჩათვლით).

საწარმოს, დეკლარაციაში თანხის შემცირების შემთხვევაში, დაეკისრება სსკ-ის 275-ე მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა.

ხოლო საწარმოს, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისთვის დაეკისრება სსკ-ის 282-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ჯარიმა. (დანაკლისად მიჩნეული თანხების ოდენობის მიხედვით).

- *სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის საკითხს*
- *სიტუაციური სახელმძღვანელო დამტკიცებულია 2016 წლის 5 ოქტომბრისთვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად*

**ანოტაცია**
**„დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია“ №1111**
**სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე**

აღნიშნული სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებდა 2009 წლის საგადასახადო პერიოდზე დანაკლისის გამოვლენის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, 2009 წლის აგვისტოში ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისის თანხით დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ გადააჭარბა 100 000 ლარს. საწარმო არ დადგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე სავალდებულო წესით.

საწარმო ვალდებული იყო განეცხადებინა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციაზე დადგომის შესახებ და ამ მომენტიდან განხორციელებულ ოპერაციებზე წარედგინა დღგ-ის დეკლარაციები (დანაკლისად მიჩნეული თანხის ჩათვლით).

ვინაიდან საგადასახადო კანომდებლობაში განხორციელდა ცვლილებები, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებდა ხანდაზმულ პერიოდში დანაკლისის გამოვლენის საკითხს, აუცილებელი გახდა სიტუაციური სახელმძღვანელოს დაკორექტირება და მასში შესაბამისი ცვლილების შეტანა.